პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 10 მარტი, 1990 წელი ● № 11 (2888) ● СУББОТА, 10 МАРТА 1990 г.

განვიხილავთ სკკპ ცკ პლატფორმის პროექტს XXVIII ყრილობისათვის

## სამართლიანობის პრინციპებით

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას“
გრ. ორბელიანი.

ბობოქარი ცხოვრების ორომტრიალში ამოტივტივდა ჩვენს საზოგადოებაში ფეხგადგმული მრავალი სიმახინჯე.

საჯაროობისა და დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ისტორიული მოვლენების ახლებურად შეფასების აუცილებლობა.

ჩემი თაობის კომუნისტებს გარდაქმნის პროცესმა მრავალი მტკივნეული კითხვა აღუძრა: ნუთუ ასე ხელაღებით შეიძლება წარსულის ლანძღვა-გინება? ნუთუ ის იდეა, რასაც ურყევი რწმენით ვემსახურებოდით, ცრუ მეცნიერება აღმოჩნდა? ნუთუ მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება სიცრუისა და ბოროტების ატმოსფეროში გავატარეთ?

თუ პარტიაში ზოგიერთმა გარეწარმა მოიკალათა, რომლებმაც ქვეყანა უკან დაწიეს განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კომუნისტია ამაში დამნაშავე? რას ვერჩით იმ რიგით კომუნისტებს, რომლებმაც მთელი ცხოვრება მატერიალური დოვლათის შექმნას შეალიეს ფაბრიკა-ქარხნებსა თუ სოფლის მეურნეობაში?

პარტიას არასოდეს არც ეშინოდა და არც დღეს ეშინია თვითგანწმედისა. იგი კარგად ამჩნევს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს და ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას. ამ სიტუაციაში მას ისე როგორც არასოდეს, მხარდაჭერა სჭირდება და არა მარტო კრიტიკა.

ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე ახალი მიმართულებებია ჩამოყალიბებული სკკპ პლატფორმაში პარტიის XXVIII ყრილობისადმი, რომლის ირგვლივაც მინდა გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა და წინადადება.

უცნაურად მიმაჩნია, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ჯერ იწონებს რაიმე დოკუმენტს და შემდეგ გამოაქვს იგი პირველად ორგანიზაციებში განსახილველად. პირველადი ორგანიზაციები კი ხელმძღვანელობენ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებით, რომ ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილება აუცილებლად ექვემდებარება ქვემდგომის მიერ შესრულებას და მცირედი გამონაკლისის გარდა ღებულობენ ერთაზროვან გადაწყვეტილებას პროექტის მოწონებისა და მხარდაჭერის შესახებ.

შემდგომში რომ ეს არ მოხდეს ასე, აუცილებლად მიმაჩნია დაინერგოს ისეთი პრაქტიკა, როცა ცენტრალური კომიტეტი ჯერ გამოაცხადებს განსახილველ საკითხს, მოისმენს წინადადებებს, დაამუშავებს მას და გამოაქვეყნებს განსახილველად.

პლატფორმის პროექტის პრეამბულაში შეფასება ეძლევა პარტიაში უკანასკნელ წლებში მომხდარ ძვრებს და ვიღებთ კურსს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ. ჩემი აზრით აჯობებდა, რომ პარტიის მიერ ბრძოლასა და შრომაში განვლილი გზისათვის მთლიანობაში მიგვეცა მოკლე ანალიზი, გვეთქვა რომ ამ გზაზე იყო სიძნელეებიც, დარღვევებიც, მიღწევებიც, მიგვეცა მეცნიერული შეფასება.

პლატფორმაში ლაპარაკია სამხედრო რეფორმისაკენ საქმის წარმართვის შესახებ, მაგრამ არცერთი სიტყვა არაა ნათქვამი ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებაზე, სამხედრო სამსახურის გავლის ალტერნატიულ ვარიანტსა და ამ სამსახურის საცხოვრებელი რეგიონების ტერიტორიაზე გავლის შესახებ, რითაც მთლიანად იგნორირებულია ნებისმიერი ტრიბუნიდან ხალხის სურ-

(დასასრული მე-2 გვ-ზე)



## „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“

**8 მარტის** დღესასწაულს სიცოცხლე, სიყვარული, გაზაფხული, სითბო, ყვავილების სილამაზე და სურნელი ახლავს...

**ქალი — დედა, და, მეუღლე, შვილი, თათარასავით უტკბილესი ქალარა ბებია** — მათი უპირველესი პატივისცემა ქართველ ერს ძველთაგან მოსდევს. ამის დასტურია ის ამაღლებული, უდიდესი სითბოთი განმსჭვალული სიტყვებიც, რომლებიც მან საკუთარი ცხოვრების წესიდან გამომდინარე შექმნა და განსაკუთრებული ადგილი დაუმკვიდრა ქართულ ლექსიკაში, სათაყვანებლად აქცია — **დედა, დედა ენა, დედას პური, დედა ბოძი, დედულეთი, დედაქალაქი, დედასამშობლო, ქართვლის დედა... და მრავალი სხვა.**

ქართველი მანდილოსანი ყოველთვის მხარში ედგა ქართველ ვაჟკაცს, მისი მრავალი კეთილი შთაგონების წყარო გამხდარა, კერიის სითბოს და სინდის-ნამუსს ინახავდა, სულითა და ხორცით ჯანსაღ, სამშობლოს ერთგულ შთამომავლობას უზრდიდა ერს. არც მტერთან შერკინებასა თუ რწმენის შენარჩუნებაში არის ჯაბანი ჩვენს დროშიც წმინდა ნინოს, ქეთევანის და თამარის შთამომავალი, თუმც სიცოცხლის ფასად დაუჯდა 9 აპრილს ყოველივე...

ეს ამბავი დღეს, აქ იმ მიზნით არ გაგვიხსენებია, რომ სადღესასწაულო განწყობილებაში მწუხარება შემოგვეტანა, პირიქით, გვსურს ხაზი გავუსვათ მათ ამაღლებას, გვსურს კიდევ ერთხელ გავიმეოროთ სიტყვები — ბედნიერი და უკვდავია ერი, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს... და სწორედ ამიტომ, ...„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“.

სწორედ ქართველი ერის გამრავლებას ექცევა დღეს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენში და ვინ თუ არა დედა უნდა იდგეს კვლავ მოწოდების სიმაღლეზე. ამიტომაც მას კიდევ უფრო მეტი თანადგომა, ყურადღება, სითბო და სიყვარული ესაჭიროება, რათა მანაც „ვითარცა ღვინო, ქვევრიდან ხაპში... გადადიოდეს და მოდიოდეს ქართული სისხლი, ქართული სიტყვა, ქართული სული...“

**8 მარტის დღესასწაულს გილოცავთ ძვირფასო ქალებო.**

**(ამ თარიღისადმი მიძღვნილ მასალებს გთავაზობთ ნომრის მესამე გვერდზე).**

## УКРЕПЛЯЯ ДОБРОСОСЕДСКИЕ ОТНОШЕНИЯ

**У всех нас все еще свежи в памяти трагические события июля прошлого года в Абхазии. Для снижения напряженности, преодоления наметившейся отчужденности в межнациональных отношениях большая работа проводится партийными, советскими и правоохранительными органами, в том числе сотрудниками Очамчирского РОВД.**

**ЗА ПОСЛЕДНЕЕ** время коллективом отдела проведен целый ряд важных мероприятий, основной целью которых было восстановление традиционных добрососедских взаимоотношений между абхазской и грузинской общинами. В обстановке взаимопонимания прошло 22 ноября прошлого года в селе Кутол кустовое совещание членов КПСС сел Джгерда, Квитаули, Кочара, Тамыш, Гвада. 24 ноября в селе Поквеши Очамчирского района был проведен сход представителей грузинской и абхазской части населения сел Поквеши, Охурей, Река, Илори, Бедия, Агубедия, на котором присутствовало более двухсот человек. В тот же день руководством Очамчирского РОВД была проведена встреча с активом Кочарского сельсовета, в ходе которой состоялась откровенная беседа по вопросам урегулирования межнациональных отношений и примирения. В результате проведенных профилактических мероприятий добровольно сдано несколько единиц огнестрельного оружия, в том числе и нарезного.

Эти же вопросы рассматривались на прошедшем 22 декабря в Адзюбжском сельсовете сходе абхазской и армянской общин, на котором присутствовало более 300 представителей сел Ахали Киндги, Киндги, Атара-Абхазская, Атара-Армянская, Ахалдаба, Аракич. Встреча, на которой присутствовали первый секретарь Очамчирского РК КП Грузии К. Салия, секретарь райкома Б. Накопия и А. Джонуа, председатель Очамчирского райисполкома Х. Гугучия, актив советско-партийных органов, райотдела милиции, суда и прокуратуры района, прошел в атмосфере доверия и взаимопонимания.

Решение о примирении принято на проведенном руководством Очамчирского РОВД собрании коллектива грузового АТП, на котором

(Окончание на 2-й стр.).

### ХРОНИКА

**Приказом министра внутренних дел Грузинской ССР утверждены:**

— в должности заместителя начальника политического отдела МВД ГССР капитан милиции **Цагареишвили Виссарион Рудольфович**;

— в должности начальника отдела уголовного розыска Грузинского УВДТ подполковник милиции **Гиоргидзе Александр Иосифович**.

# სამართლიანობის პრინციპებით

(დასასრული)

ვილის გამომხატველი აზრი. აქედან გამომდინარე, ისევ და ისევ საქმის და სიტყვის დაშორებად მიმაჩნია პლატფორმის IV თავში ნათქვამი „პარტიის პოლიტიკას საფუძვლად უდევს ხალხის სუვერენული ნების, როგორც ხელისუფლების ერთადერთი წყაროს აღიარება“. თუ ქართველს საქართველოში არ შეუძლია სამშობლოს წინაშე სამხედრო სამსახურის ვალდებულების მოხდა, რომელი ხალხის სუვერენული ნების აღიარებად ჩაითვლება ეს?

პარტიამ გადაწყვიტა საკანონმდებლო ინიციატივის წესით დასვას საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესახებ. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს ამ საკითხის დასმას პარტიის ინიციატივას ვერ ვუწოდებ.

ამ წერილში არ ვისახავ მიზანს შევეხო საკითხს საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ. მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ ის დებულებები, რომლებიც საკანონმდებლო ინიციატივას ანიჭებენ ცალკეული თანამდებობის მქონე პირებს ან უწყებებს, ძირშივე მცდარია და უკუსაგდები, რამეთუ ინიციატივის უფლება უნდა ქონდეს საღ აზრს და არა რომელიმე ორგანიზაციას. როგორ მოიქცეს მოქალაქე, რომელსაც აქვს შესანიშნავი იდეები და წინადადებები კანონებსა და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შესატანად? მას როგორც ცალკე მოქალაქეს არავინ მოუსმენს, ხოლო აზრი, როგორც ასეთი, ჩვენთან არც ხალისდება და არც იყიდება. მაშ როგორ გახადოს მოქალაქემ თავისი საკუთარი აზრი უწყების აზრად და შეიტანოს საკითხი საკანონმდებლო ორგანოებში? შეიძლება უწყებას როგორც ინდივიდს ჰქონდეს აზრი? ზუსტად ეს უაზრობა უნდა გავიზიაროთ და უკუვაგდოთ ისეთი დოგმები საზოგადოების განვითარების გზაზე, რომლებიც ხელს გვიშლიან და წინსვლის საშუალებას არ გვაძლევენ.

პლატფორმის VII თავში ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისუფლდება მისთვის უჩვეულო მოვალეობისაგან და იღებს შესაძლებლობას თავი მოუყაროს თავის ძალებს თეორიის, მოქმედების პროგრამების შემუშავებისათვის, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობისათვის, პარტიული საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, საზოგადოების კონსოლიდაციის ამოცანების გადაწყვეტისათვის მისი რევოლუციური განახლების გზაზე“. აქ გაურკვეველია თუ რას ნიშნავს „პარტიული საკადრო პოლიტიკა“. თუ ეს ეხება პარტიული ორგანოების შტატებში მომუშავე კადრებს, აქ „უჩვეულო“ მოვალეობები გამორიცხულია, მაგრამ თუ ეს ეხება მთლიანად კადრებს, თუ პარტიის რაიკომი ძველებურად ბიუროზე მიიწვევს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს რაიონის ტერიტორიაზე მომუშავე ნებისმიერი თანამდებობის პირს. მიუხედავად მისი სამსახურის უწყებრივი დაქვემდებარებისა (მაგალითად მილიციის უფროსს, ქარხნის დირექტორს, ალმასკომის თანამშრომელს) მაშინ კონსტიტუციაში მე-6 მუხლი სულ ერთია დარჩება თუ არა.

ბევრი რამაა ორჭოფულად ნათქვამი პლატფორმის V თავში, სადაც თითქმის უარყოფილია უნიტარული სახელმწიფო წყობილების მოდელი, მაგრამ ამავე დროს ხაზავენ გზას ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებისაკენ და მიგვანიშნებენ, რომ „ურთიერთმრავალმხრივი და ურთიერთშემღწევი კავშირის შესუსტებასა და მით უმეტეს დარღვევას შეიძლება მოჰყვეს ძნელად განსაჭვრეტი ნეგატიური შედეგები ყველა ხალხისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანთა ბედზე. ამიტომ გადაჭრით ვილაშქრებთ სეპარატისტული ლოზუნგებისა და მოძრაობების წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ დიდი მრავალეროვანი დემოკრატიული სახელმწიფოს დანგრევას...“ ე. ი. უნიტარული სახელმწიფო უარყოფილია, მაგრამ ამ სახელმწიფოს დაშლის შესაძლებლობაც უარყოფილია. თუმცა „პარტია ადასტურებს თავის ერთგულებას ლენინური პრინციპისადმი, რომ ერებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება თვითგამოყოფამდე და მხარს უჭერს ამ უფლების რეალიზაციის მექანიზმის შესახებ კანონის მიღებას“. ე. ი. იმ უფლებას კი არ უჭერს მხარს, რომელიც სსრკ კონსტიტუციის 72-ე მუხლითაა გარანტირებული, არამედ „რეალიზაციის შესახებ კანონის მიღებას“, რაც ჩემი აზრით მკვდარი ბავშვის დაბადებას ჰგავს.

ბევრი რამაა კრიტიკული თვალით შესაფასებელი კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დამოკიდებულებაში, მაგრამ ყველაზე მეტად ჩასაფიქრებელია რუსული ენისათვის ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. გარდა იმისა, რომ ამით რუსულ ენას შეურაცხყოფას ვაყენებთ, როგორც არაოფიციალურ ენას, ისმის კითხვა: თუ რესპუბლიკაში მშობლიური ენა აღიარებულია სახელმწიფო ენად, როგორღა განვმარტოთ მათთვის სხვა ოფიციალური ენის აღიარების აუცილებლობის მიზანშეწონილება? რას ნიშნავს ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭება სხვა ენისათვის მაგალითად საქართველოს ტერიტორიაზე? როგორც ჩანს ამით ფიქრობენ რომ ერები ისე ათქვიფონ ერთმანეთში, რომ ხალხებში ეროვნული ნიშნები წაიშალოს.

ხელმძღვანელ-პარტიულ ორგანოებში მუშებისა და გლეხების მიზიდვის წინააღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ რაღამც პარტია კისრულობს ავანგარდულ როლს თეორიის, მოქმედების პროგრამების შემუშავებისათვის, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობისათვის, პარტიული საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, საზოგადოების კონსოლიდაციის ამოცანების გადაწყვეტისათვის მისი რევოლუციური განახლების გზებზე, ჩემი აზრით აჯობებდა მუშების და გლეხების მიწვევის ნაცვლად სამუშაოდ მიეწვიათ სამართლის, ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სხვა სამეცნიერო დარგების სპეციალისტები, რომლებსაც დაევალებოდათ ზემოაღნიშნული მიმართულებებით მუშაობის წარმართვისათვის საფუძვლების მომზადება.

თუ გვინდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ნამდვილად წარმოადგენდეს კოლეგიალურ ორგანოს, უნდა დაწესდეს, რომ იგი იქმნებოდეს მოკავშირე რესპუბლიკათა თანაბარი წარმომადგენლობის საფუძველზე. ამ კუთხით მივესალმები აზრს რუსეთის სფსრ კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოების შექმნის შესახებ და როცა დიდ რუსეთსაც და პატარა საქართველოსაც თანატოლი წარმომადგენლობა ეყოლება ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში, მხოლოდ მაშინ ვირწმუნებთ, რომ არსებობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტი და არა რომელიმე მსხვილი რესპუბლიკის პარტიასთან მიკედლებული სხვა რესპუბლიკურ კომპარტიათა ორგანიზაციებისაგან შეკოწიწებული ცენტრალური კომიტეტი. თუ ასეთი ცენტრალური კომიტეტი არ შეიქმნა ამ ეტაპზე, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ არავინ არ ახვევს თავის აზრს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს და ყველაფერი რაც ჩვენს გარშემო ხდება, თავის მორიგი მოტყუება გამოვა.

**რევაზ გრიგალაშვილი,**
ქ. თბილისში სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა დაცვის მილიციის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

# УКРЕПЛЯЯ ДОБРОСОСЕДСКИЕ ОТНОШЕНИЯ

ОКОНЧАНИЕ.

присутствовало около 200 человек грузинской и абхазской национальности.

Важным фактором достижения стабильности в районе стала проведенная 13 января нынешнего года руководством райотдела милиции встреча с лидерами неформальных объединений абхазской и грузинской стороны. Результатом бесед, основной темой которых было оказание позитивного влияния на население, пресечение провокационных слухов, недопущение конфронтации, стала договоренность о взаимодействии в деле поддержания в районе нормальной обстановки.

Подобные сходы проводились и в нескольких микрорайонах г. Очамчире, где также участвовали работники партийных, советских и административных органов. На всех сходах население высказало свое мнение о работе административных органов, вносило свои предложения по совершенствованию их работы, которые нами учитываются и реализуются в повседневной работе.

В настоящее время оперативно - начальствующим составом РОВД проводятся отчеты перед населением района о проделанной за 1989 год работе, где также особое внимание уделяется вопросам урегулирования межнациональных отношений, стабилизации обстановки, добровольной сдаче незаконно хранящегося у населения огнестрельного оружия. В целом же за 1989 год изъято и сдано добровольно 1.180 единиц огнестрельного охотничьего и нарезного оружия. Проведение перечисленных выше и других профилактических мероприятий во многом способствует сохранению в районе нормальной обстановки.

**А. ЭХВАЯ,**
**майор милиции, заместитель начальника Очамчирского РОВД по политической части.**

## ОБСУЖДАЕМ ПРОЕКТ ПЛАТФОРМЫ КПСС К XXVIII СЪЕЗДУ ПАРТИИ

# В русле перемен

**28 ФЕВРАЛЯ 1990 года в Марнеульском РОВД прошло открытое партийное собрание сотрудников, на котором присутствовал старший лектор политотдела МВД ГССР майор милиции А. Иванов. На повестке дня было обсуждение проекта платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии.**

**ВЫСТУПИВШИЙ** на собрании заместитель начальника РОВД по политчасти майор милиции А. Поляков подчеркнул, что сегодня всех коммунистов, всех граждан волнует судьба перестройки, судьба всей страны и роль КПСС на нынешнем, самом ответственном, этапе, революционных преобразований.

Именно поэтому было предложено на Пленуме по-новому строить взаимоотношения между партией и законом, партией и обществом, руководством и рядовыми коммунистами.

Действующие и набирающие популярность народные фронты, демократические движения и всевозможные неформальные организации — это политическая реальность, не считаться с которой нельзя.

Чтобы восстановить авторитет, вернуть доверие народа, партия сегодня свою главную цель видит в том, чтобы поставить человека в центр общественного развития, обеспечить ему правовые гарантии, политическую свободу, обеспечить достойные условия жизни и труда.

Демократизация — цель и средство перестройки, — отметил далее А. Поляков. Важнейшим условием развернутой социалистической демократии и самоуправления народа является создание правового государства. Для этого необходимы неотложные меры по укреплению законности и правопорядка.

Партия высказывается за дальнейшее укрепление независимости суда и прокуратуры. Считаются первоочередными вопросы престижа, материального обеспечения и профессиональной подготовки работников правоохранительных органов. Нынешняя обстановка в стране требует применять в борьбе с преступностью все предусмотренные в законе средства при строгом соблюдении всех норм правосудия.

Выступившие затем на собрании изложили свои точки зрения:

**старший оперуполномоченный БХСС капитан милиции А. Буцхрикидзе** ответил, что сейчас нужна глубокая перестройка работы по линии БХСС, когда государству трудно, надо усилить работу по выявлению расхитителей государственного имущества;

**старший оперуполномоченный ОУР майор милиции Р. Сусанян** подчеркнул, что судьба перестройки в значительной мере зависит от национальной политики, межнациональных отношений, что коллектив РОВД многонациональный и дружбу, спаянную веками, надо крепить;

**участковый инспектор, старший лейтенант милиции М. Мусаев** высказал мнение, что в органах внутренних дел не должна быть многопартийная система, что сотрудники милиции должны быть независимы.

**Подготовил А. АРТЕМИДЗЕ.**



**ბალის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი ჯემალ გაბელია დასახელებულია სახალხო დეპუტატობის კანდიდატად. მკითხველებს ვთავაზობთ მისი წინასაარჩევნო პლატფორმის ზოგიერთ პუნქტს.**

# მხოლოდ სინდისის კარნახით

**ჩემი** წინასაარჩევნო პლატფორმა გამომდინარეობს ქართველი ხალხის იმ სასიცოცხლო მოთხოვნილებიდან, რომელსაც ეროვნული თავისუფლება ჰქვია. მისი მიღწევის გზად მიმაჩნია პარლამენტური ბრძოლა და ეკონომიკური ბაზისის შექმნა.

უწინარეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა (ყველა დანარჩენი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა ამ მიზნის განხორციელებიდან გამომდინარეობს).

უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური წყობილების საფუძველი, რაც დღეს არსებობს ჩვენს ქვეყანაში, მოძველებულია და აუცილებელია მისი შეცვლა...

მკვეთრადაა ფეხმოკიდებული კორუფცია, კარიერიზმი, პროტექციონიზმი, საქმოსნობა, ნარკომანია... ბევრმა ულირსმა, ქურდმა და ნაძირალამ რბილ სავარძელში მოიკალათა. უნიჭომ ნიჭიერი დაჩაგრა, უსინდისომ — პატიოსანი, საზოგადოება კასტებად დაიყო, მორალიც გაიყო... ყველაზე საშური საქმე ახლა საქართველოს განწმენდისათვის ბრძოლაა.

...ეს აუცილებელია იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვუწოდებთ. საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქმნება, თუ შემუშავდება ჭეშმარიტად სამართლებრივი, ეროვნული კონსტიტუცია და ჩვენ ამას უნდა მივაღწიოთ, მისი პრინციპი კი ასე წარმომიდგენია: კანონის უზენაესობა და შეუვალობა. აუცილებელია ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნა, ჩემი მიზანია ყოველმხრივ გავითვალისწინოთ ფართო საზოგადოების ინტერესები, მაგრამ ამასთან ყველა საკითხში შევინარჩუნო საკუთარი პოზიცია.

ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ერთპარტიული სისტემისა, რადგანაც მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ეს ხელისუფლების ერთი ძალის ხელში მოქცევაა და მას ფაქტიურად მივყავართ კონკრეტული პირის დიქტატთან.

აღიარებული უნდა იქნეს კონსტიტუციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში ყველა პარტიის მონაწილეობა და მათთვის ყოველგვარი პირობების შექმნა. საქართველოს კომუნისტური პარტიის (როგორც დამოუკიდებელი ეროვნული პარტიის) ავტორიტეტის აღდგენის ერთ-ერთი რეალური გზა სწორედ რეგისტრირებულ პარტიებთან პარლამენტურ ბრძოლაში უნდა გამოიკვეთოს.

საკანონმდებლო ორგანომ საქართველო პარლამენტური მართვის დამოუკიდებელ რესპუბლიკად უნდა გამოაცხადოს. საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების მხოლოდ ნამდვილ, დემოკრატიულ საწყისებზე არჩევა ერთ-ერთი გზაა სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად. თვითნებობა მაშინ იწყება, როდესაც ყველა ეს პრინციპი მხოლოდ ფორმალურად არსებობს და ერთეულ პირთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ფართო გზა უნდა მიეცეს საკუთრების სხვადასხვა ფორმას, თუ გვინდა რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, მიწას გლეხს ნუ წავართმევთ, სამუდამო მფლობელობაში გადავცეთ. გლეხს — მიწა, მუშას — ქარხანა. ამით მოხდება ხალხის სოციალური ძალის აღორძინება.

ქართველი ერის გამრავლებაზე ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ დროა აქაც სიტყვა საქმიანი გავხადოთ. დემოგრაფიული საკითხების მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, ქალთა პირობების გაუმჯობესებით უნდა დაიწყოს. მოსაწესრიგებელია ქალთა შრომის პირობები. პირველრიგში, ვის თუ არა ქალებს, ესაჭიროებათ ნორმალური საბინაო და სამუშაო პირობები. ბავშვებიანი დედის კონსტიტუციური უფლებები — იმუშაონ შეკვეცილი სამუშაო დღით და კვირით, ისარგებლონ დამატებითი შვებულებით და თავისუფალი დრო შვილების აღზრდას მოახმარონ — ყველგან უმტკივნეულოდ უნდა გადაწყდეს. მეტი თანადგომა ესაჭიროება ბავშვთა, გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდებს. არანაკლებ საზრუნავია ახალგაზრდა ოჯახები.

ვფიქრობ რომ არსებობს ერთადერთი გზა ხსნისა: ზნეობრივი სიწმინდე, შრომის მადლი, მტკიცე, შეუვალი წესრიგი და დისციპლინა, რაც ყველაზე მეტად გვაკლია დღეს

მებრძოლი გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Давно уже замечено, что именно с наступлением весны все женщины становятся чуточку красивее — ведь эта пора года связана не только с пробуждением природы, но и с приближением Международного женского дня 8 Марта. Зато у мужчин в эти дни хлопот добавляется — ведь надо успеть вовремя поздравить своих матерей и сестер, жен и любимых, просто прелестных незнакомок. Не изменяет этой прекрасной традиции и коллектив нашей редакции.**

# Статистика знает все

**ТАК, И НЕ БЕЗ ОСНОВАНИЙ СЧИТАЮТ СОТРУДНИЦЫ ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД ГССР**

**СРЕДИ** коллективов органов внутренних дел немного таких, где бы большинство составляли представительницы прекрасного пола. А вот в отделении статистики и контроля Информационного центра МВД ГССР, возглавляемом старшим инспектором капитаном милиции Марианой Чумаковой, именно они составляют все сто процентов сотрудников и справляются со своими сложными и ответственными задачами всегда успешно.

Работа здесь, конечно, не столь уж эффектна — не гремят выстрелы, нет поединков, погонь и других элементов, столь любимых поклонниками детективного жанра, но без нее практически немыслима полноценная деятельность всех, в том числе и оперативных, служб министерства. Ведь статистика, как известно, знает все, и без ее данных нельзя четко определить в каждый конкретный момент состояние борьбы с преступностью, ее динамику, внести соответствующие коррективы.

Коллективом отделения осуществляется работа по сбору, учету, регистрации и классификации информации по всем видам преступлений. Только различных видов отчетов здесь составляется около трех десятков, причем, каждая из сотрудниц владеет несколькими видами отчетности. По мере необходимости вся это информация передается во все службы МВД ГССР и МВД СССР, партийным и советским органам, Госкомстату, органам массовой информации, так что ошибаться здесь никак нельзя.

Все это требует от сотрудниц отделения не только постоянного внимания, но и высокой квалификации и разносторонних знаний. Так, в поступающих с мест учетных карточках бывает и неточная информация, порой неправильно оценивается вид преступления, а для того, чтобы вовремя заметить и исправить ошибку нужны и хорошие знания уголовно-процессуального законодательства.

Всеми этими качествами в полной мере обладают все члены этого небольшого, но



очень дружного коллектива — старшие инспектора капитан милиции Арлета Мхитарова, капитан в/с Элисо Танеишвили, старшие лейтенанты милиции Анна Воевода и Лейла Шахмамедова, Евгения Бунтури, инспектора по учету Светлана Какулия, Анна Хачатурова и другие, благодаря четкой и слаженной работе которых потребителям в любое время предоставляется вся необходимая информация.

— Работа в отделении непростая, сродни работе на конвейере, — если у одной из сотрудниц происходит задержка, простаивают и все остальные. Поэтому каждая старается работать, как можно лучше, чтобы не подводить своих подруг, да и весь коллектив, — рассказывает заместитель начальника ИЦ МВД ГССР подполковник милиции Л. Ртвеладзе — Порой, когда скапливается много подлежащей срочной обработке информации, им приходится задерживаться допоздна, но и в этих случаях они действуют также четко и слаженно, понимая важность своей работы.

Сейчас перед сотрудниками отделения стоят новые ответственные задачи — перенос всей хранящейся в центре информации в поступившие недавно быстродействующие ЭМВ. А поскольку операторов не хватает, им приходится овладевать и этой специальностью.

Не только на службе, но и вне ее дружны сотрудницы отделения, вместе отмечают все праздничные даты и, конечно, особенно день 8 Марма. И, сейчас заранее знают, что украшением праздничного стола, уже по традиции, будет торт, приготовленный Светланой Какулия. Ведь не случайно говорят, что статистика знает все... Хочется от всей души пожелать сотрудницам отделения, всем женщинам, работающим в органах внутренних дел, на долгие годы счастья, радости, всяческих успехов в работе и личной жизни.

**А. ЦАТУРОВ.**

**НА СНИМКЕ: инженер вычислительного центра ИЦ МВД ГССР капитан милиции Нестан Сихарулидзе и оператор Мария Каланиди.**

# Преданность своему делу

**НА СТАНЦИИ** Самтредиа в линейном отделении Грузинского управления милиции на транспорте более тридцати пяти лет служит в органах внутренних дел инспектор по делам несовершеннолетних капитан милиции Даули Мсхиладзе. Своей работой в милиции она продолжила семейную традицию, пойдя по стопам отца — старого чекиста Александра Мсхиладзе, проработавшего в органах МВД более 40 лет.

Родилась Д. Мсхиладзе в Самтредиа, здесь же закончила 51-ю железнодорожную среднюю школу, а после окончания пединститута в Кутаиси по ходатайству Самтред-



ского райкома партии Даули поступает на работу в Самтредское отделение милиции инспектором детской комнаты.

С первых же дней работы она честно и добросовестно выполняет порученные ей дела. За свой труд она 25 раз была поощрена, а также награждена медалями «За безупречную службу» всех трех степеней. И за каждой наградой стоят конкретные дела.

Шел летний период 1973 года. Даули Мсхиладзе принимает активное участие в организованном газетой «Пионерская правда» мероприятии — операции «Семафор». Ею была проведена профилактическая работа среди 231 безнадзорного подростка. За активное участие в проведении этой операции Д. Мсхиладзе была поощрена приказом министра внутренних дел республики.

Трудится она и сейчас в маленьком дружном коллективе ЛОВД в своем родном городе Самтредиа, трудится честно и добросовестно, образцово выполняя свой офицерский и гражданский долг — долг педагога.

С праздником Вас, уважаемая Даули, дальнейших успехов Вам в работе. Наверное, к этим пожеланиям присоединятся и сотни тех подростков, которым Вы помогли найти свой жизненный путь

**А. МАЛАЯНЦ.**

# კარგი საჩუქარი მოუმზადეს

**საქართველოს** სსრ შს სამინისტროს კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ კარგი საჩუქარი მოუმზადა სამინისტროს თანამშრომელ ქალებს, რომლებსაც დიდი სიამოვნება მიანიჭა 8 მარტისადმი მიძღვნილმა კონცერტმა. დამსწრეთა მოწონება დაიმსახურეს: ქართლოს კასრაძემ, კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადის მსახიობებმა, ფილარმონიის მსახიობმა მ. კვირიკაშვილმა, კულტურის სახლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლის სოლისტმა ლ. კაპანაძემ, რომელმაც შეასრულა პაროდიები ვაიკულესა და საბრინას რეპერტუარიდან, ავტორმა — იუმორისტმა გ. გეგეჭკორმა და განსაკუთრებით ფილარმონიის მსახიობმა ბ. მახარაძემ. კონცერტი იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო რომ დროის ჩარჩოებში ვერ ჩაეტია, რადგან მსახიობებს დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან.







**ბ. მგალობლიშვილის** ფოტოები.



**მეტად** რთულ და შეიძლება ითქვას ქალისათვის უჩვეულო, ძებნის განყოფილებას ემსახურება მილიციის უფროსი ლეიტენანტი ჟანა ხოლოღაშვილი. ჯერ სამინისტროს კადრების სამმართველოში, შემდეგ რუსთავში არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად მუშაობდა, ხოლო 1985 წლიდან შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ძებნის განყოფილების ოპერრწმუნებულია.

# სხვაგვარად არ ძალმიძს

**ტკბილად** იწყებს საუბარს. შს სისტემაში მუშაობის 16 წლის მანძილზე სალაპარაკო ბევრი დაგროვებია ქ. ზუგდიდის შს განყოფილების გამომძიებელს, მილიციის კაპიტანს ი. დადეშქელიანი. ეს არის ასობით გზას აცდენილ ადამიანთა ბედის განსჯა, ფიქრსა და გულის ტკენაში გათენებული უძილო ღამეები, არასრულწლოვანთა დაბნეული, ჯერაც გაუთელავი უმანკო მზერა. ერთი სიტყვით ქალბატონ ირას თქმისა არ იყოს იურისტის პროფესია ბევრ საინტერესო და საჭირბოროტო ფაქტთან პირისპირ შეხვედრაა. ყველაფერს დეტალებში მიყვება, როგორ დაიწყო და როგორ მოვიდა დღემდე. იყო სტუდენტობის წლები, შემდეგ ბავშვთა ოთახის ინსპექტორობა და ახლა ადამიანთა ბედის განსჯა. მიღებული აქვს არა ერთი მადლობა და ჯილდო, როგორც სპეტაკ მუშაკს. დაჯილდოებულია სსრკ შსს მიერ „წარჩინების მედლით". წარმატებებს არასდროს დაუხვევია თავბრუ. უბრალოება, ადამიანურობა და სითბო მისი ხასიათის განუყრელი თვისებაა, ამიტომ უყვართ ის მის მეგობრებს, ყოფილ მსჯავრდებულებს, დიდსა თუ პატარას.

— ამბობენ ქალი სუსტი არსებაო. და თქვენში თუ არის ეს ქალური სისუსტე. — გულიანად ეცინება, თან თვალებზე ცრემლი ადგება. იცით, მე დედა ვარ (ორი შვილი) და არ შემიძლია ნებისმიერ დამნაშავეს გულგრილად შევხედო. მე განვიცდი თითოეული მათგანის ბედს, მტკივა მათი სატკივარი და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩემს წინ დამნაშავე არასრულწლოვანი ზის. აი, აქ ვგრძნობ ხოლმე ჩემს ქალურ სისუსტეს, მაგრამ მე სხვაგვარად არ ძალმიძს.

მოგონებებზე დავიწყეთ საუბარი. არადა თუ სქელტანიან საქმის ტომებს გადავხედავთ, ქალბატონ ირას ხელში რომ გაუვლია, მიხვდები ამ ადამიანს ძალიან ბევრი აქვს მოსაგონარი. ზოგი ტკბილი, ზოგი მწარე, მაგრამ ყოველთვის დიდი შვება, რომ უკანონოდ, უსამართლოდ არავინ დასჯილა. თუმცა თავისი ბუნების წყალობით ირმა დადეშქელიანს არაერთხელ გვერდი აუვლია კანონის სიმკაცრისათვის და მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურობის კრიტერიუმით განუსჯია დამნაშავის ბედი.

არ გვინდა ზედმეტად გადავტვირთოთ ლამაზი სიტყვებით თქვენს მიერ განვლილი გზა ქალბატონო ირა. მხოლოდ გაზაფხულის დღესასწაული უნდა მოგილოცოთ. ყოველთვის გჯეროდეთ, გწამდეთ და გიყვარდეთ ის, რასაც ასე უანგაროდ და კეთილად ემსახურებით.

**მ. მოსიძე**

# მრავალჟამს გეღვაწოთ ასეთი შემართებით

**არიან** ადამიანები, რომელთათვისაც პატიოსნება, და ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა ცხოვრების თვითმიზნად არის ქცეული და რაოდენ სასიხარულოა, როდესაც ასეთი ხალხი თავის ცხოვრებას სიმართლის დაცვას, მის სადარაჯოს უკავშირებენ.

გიორგი ვლადიმერის ძე ცუცქირიძე ჭიათურის რაიონის სოფელ სვერში დაიბადა. მშრომელ ოჯახში გაზრდილმა სიყრმიდანვე შრომას მოჰკიდა ხელი და ცხოვრებაში არასდროს უღალატია მისთვის.

ომის ქარცეცხლიანი დღეები მძვინვარებდა, ქვეყანა მუშა ძალის უკმარისობას განიცდიდა. დაზგებთან და მარტენთან კაცები მოხუცებმა და ქალებმა შეცვალეს. თოთხმეტი წლის იყო მაშინ გიორგი, ჭიათურის მარგანეცის მაღაროში რომ დაიწყო შრომა. დღე არ იცოდა მან და ღამე — იცოდა ერთი, რომ ქვეყანას ჭირდებოდა და აკეთებდა ჭაბუკი თავის საკეთებელს. ამ წლებში გამომუშავებული მტკიცე ნებისყოფა და საქმის ერთგულება შემდგომ ცხოვრებაში დიდად გამოადგება მის არჩეულ მეტად რთულ პროფესიას...

1951 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მივიდა იგი სამართალდამცავ ორგანოებში სამუშაოდ. ჯერ იყო რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი, ხოლო შემდეგ ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ხარაგაულის რაიონის პროკურორად, სადაც წლების მანძილზე არჩეული იყო რაიკომის პლენუმის წევრად და რაისაბჭოს დეპუტატად.

საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ბატონ გიორგის ცხოვრებაში განსაკუთრებული სირთულეების და დაძაბულობის დროსაც კი არ დაუნებებია თავი. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა და წარმატებითაც ხელმძღვანელობდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ერთი რამ საიდუმლოდ გამანდო ბატონმა გიორგიმ, მაგრამ მგონია რომ არ მიწყენს თუ ვიტყვი: როდესაც ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი მას თურმე შინაგან საქმეთა ორგანოებში ურჩიეს მუშაობის დაწყება, მაგრამ ახალგაზრდა გაჯიუტებულა და თავის არჩევნისათვის არ უღალატნია, დღეს ცოტა არ იყოს ნანობს ბატონი გიორგი და მამაშვილურ აგიტაციას უწევს ყველას, თუ სამართალდამცავის მძიმე ტვირთს იკისრებს იმუშაოს შს ორგანოებში. მართალია ამით იგი არამც და არამც არ თვლის რომ მისი 35 წლის მუხლჩაუხრელი შრომა პროკურატურის ორგანოებში ნაკლებად დაძაბული ან ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს. გზა კი საქმის ერთგულმა ჩეკისტმა რიგითი გამომძიებლიდან რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემდე განვლო. იმ დიდი ამაგისათვის, რაც ბატონ გიორგის სამართალდაცვით საქმეში გაკეთებული აქვს წახალისებით არასდროს გაუნებივრებიათ, თუმცა ახლაც კი რესპუბლიკის პროკურატურა გულითადად იხსენებს ბატონ გიორგის, მის მაგალითზე სწავლობენ და მასზე საუბრობენ. ასეთი ავტორიტეტით კი პენსიაზე სხვათაშორის ბევრს როდი უწევს გასვლა.

მოსაგონებელი ბევრი აქვს, ბევრი ყოფილა მის გზაზე დამნაშავესთან პირისპირ შეჯახება — გამარჯვებული ყოველთვის კანონი გამოდიოდა. უაღრესად დატვირთული სამსახურის მიუხედავად ბატონმა გიორგიმ მაინც მოახერხა გამოეძებნა დრო სამეცნიერო მუშაობისათვის. მას გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფიული ნაშრომი, დაცული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. და ამჟამადაც ამთავრებს მესამე მონოგრაფიულ ნაშრომს. სატრანსპორტო სამართალს რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ავტო-ინსპექციის მუშაკებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებსაც.

ახლა ბატონი გიორგი საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, იგი ეწევა ღრმა მეცნიერულ კვლევებს, აქტიურად თანამშრომლობს რესპუბლიკურ პრესასთან და სიხარულით უზიარებს ახალგაზრდებს საკუთარ მრავალწლოვან გამოცდილებას. ასაკს მის შრომით ენთუზიაზმზე ბევრი ვერაფერი კვალი დაუტყვია. ვეტერანი კვლავ მწყობრშიაო იტყვიან ბატონ გიორგისნაირ ადამიანზე, კიდევ მრავალჟამს გეღვაწოთ ასეთი შემართებით.

**ზ. ქუთათელაძე.**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით სამართალდამცავ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ვლადიმერის ძე ცუცქირიძეს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.**

ფელეტონის მაგიერ

# „ხერხი სჯობია ღონესა“...

**მიყვარს** როცა ლამაზი სიტყვებით მამკობენ და მაქებენ, ვერ ვეგუები კრიტიკას, თუმცა ადვილი შესაძლებელია ბევრი ნაკლოვანებები მქონდეს, მაგრამ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი ისიც ხმამაღლა. განსაკუთრებით გულსატკენი და მოუთმენელია, როცა შინაური, შენი ოჯახის წევრი დაგიწყებს კრიტიკას.

სასახელო და საამაყო ტრადიციების მატარებელია ჩვენი კოლექტივი და როდესაც თავს მშვიდად ვგრძნობდით, ერთ-ერთმა რიგითმა თანამშრომელმა რაღაც ჩრდილოვანი მხარეების გამოქექვა დაიწყო. ისე არ ჩაივლიდა კოლექტივის საერთო კრება კრიტიკით, რომ არ გამოსულიყო. არა, ადრე სადიდებელი სიტყვებით გამოდიოდა, აქებდა კოლექტივს, გვაქებდა ჩვენ. ჩვენც ვაქებდით და ვაფასებდით. არც ერთი კრება ისე არ ჩაივლიდა სიტყვა. რომ არ მიგვეცა, მაგრამ აი, მოულოდნელად ერთ-ერთ კრებაზე კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარა ბევრი ჩვენგანი.

გაგვაწითლა, მოულოდნელი დარტყმა მოგვაყენა, ისიც საჯაროდ, საჯაროობა და სიტყვის თავისუფლება კია გამოცხადებული, მაგრამ არ გვეგონა თუ ხელქვეითი ჩვენს საწინააღმდეგოდ სიტყვას დასძრავდა. ვატყობდი, ისე გათამამდა, რომ არც მომავალში დაიშლიდა კრიტიკას. თუმცა ჩვენში დარჩეს და მისი გამოსვლა სწორი და სამართლიანი იყო, და მის კრიტიკას რომ კაცი აყოლოდა შეიძლება სკამიც გამოეცალათ ჩვენთვის, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსაო“ და ჩვენც უმალვე მოვუხმეთ გონებას. სრულიად საიდუმლოდ, ჩვენი კრებების „შტატიან“ თავმჯდომარეს მოველაპარაკეთ და მითითება მივეცით, რათა არც ერთ შემთხვევაში სიტყვა არ მიეცა მისთვის, ის კიდევ დღემდე ელოდება თუ როდის მისცემენ სიტყვას, მაგრამ ამაოდ. აი, ასე და ამგვარად ავიცილეთ თავიდან ნაკლოვანებათა გამოაშკარავება და მოსალოდნელი ხიფათი. ჩვენი კოლექტივის საერთო კრებები კი ისევ ძველებურად, მშვიდობიანად იწყება და მშვიდობიანად მთავრდება. ასე არ სჯობია? რას იტყვით თქვენ!

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

## ОПЫТ РАБОТЫ ОТДЕЛА ВНУТРЕННИХ ДЕЛ УСМАНСКОГО РАЙОНА ЛИПЕЦКОЙ ОБЛАСТИ ПО ВЫЯВЛЕНИЮ И ОРГАНИЗАЦИИ ЛЕЧЕНИЯ ЛИЦ, ЗЛОУПОТРЕБЛЯЮЩИХ СПИРТНЫМИ НАПИТКАМИ

**ДЛЯ ПОСТАНОВКИ** на учет лиц, злоупотребляющих спиртными напитками, используются следующие источники информации: данные медвытрезвителя, дежурной части, ИДН, ЛТП, наркологического кабинета при ЦРБ, а также сведения, полученные в процессе работы с населением заявления граждан, сообщения трудовых коллективов и т. д.

В соответствии с поступающей информацией на учет ставятся: лица, дважды в течение года доставлявшиеся в медвытрезвитель, либо подвергавшиеся административному взысканию за распитие напитков в общественных местах; злоупотребляющие спиртными напитками и на этой почве допускающие нарушение общественного порядка и правил социалистического общежития; хронические алкоголики, уклоняющиеся от добровольного лечения; прошедшие принудительное лечение в ЛТП; несовершеннолетние, употребляющие спиртные напитки.

В районе четко налажено взаимное информирование РОВД и наркологической службы о лицах, злоупотребляющих спиртными напитками. Обе службы ежеквартально проводят сверку имеющихся у них списков таких лиц.

Работа по оформлению материалов для направления хронических алкоголиков в ЛТП проводится в основном участковыми инспекторами кабинета профилактики медвытрезвителя. Участковые инспектора милиции производят сбор материалов о лице, подлежащем направлению в ЛТП, и в случае необходимости возбуждают ходатайства о необходимости принудительного лечения. На кабинет профилактики медвытрезвителя возлагается организация проведения медэкспертиз, анализов, оформление и направление материалов для рассмотрения в народном суде, а также доставление алкоголиков в ЛТП.

Кроме того, участковые инспектора милиции, работники медвытрезвителя проводят индивидуальные профилактические беседы с лицами, доставляемыми в медвытрезвитель или дежурную часть РОВД. Работники милиции разъясняют членам семей алкоголиков порядок обращения в суд с заявлением об ограничении дееспособности этих лиц, а также проводят индивидуальную воспитательную работу с подростками, употребляющими спиртные напитки, и их родителями.

**Подробную информацию можно получить в УВД Липецкого облисполкома.**

# ფიცის ერთგულებით გავლილი გზა

**...გარდაიცვალა** შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, შინაგანი სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი ბესარიონ კირილეს ძე ბალავაძე... რაოდენ ტკივილსა და ათას მოგონებას აღძრავს ყველა ნეკროლოგის ეს საწყისი სიტყვები იმათ მეხსიერებაში, ვინც ამ პიროვნებას იცნობდა, მის გვერდით ცხოვრობდა და მსახურობდა.

ბ. ბალავაძე 1951 წელს მუშაობას იწყებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. ორი წლის შემდეგ კი საბოლოოდ დაუკავშირა თავის სამსახურებრივი საქმიანობა შინაგან საქმეთა ორგანოებს. სხვადასხვა დროს იყო თბილისის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, სატრანსპორტო მილიციის უფროსის მოადგილე, შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ქუთაისის შს სამმართველოს უფროსი, ბოლოს თადარიგში გასვლამდე — სამხრეთ ოსეთის შს სამმართველოს უფროსი. ყველგან, სადაც კი იმუშავა ბ. ბალავაძემ გამოარჩევდნენ მის დიდ ორგანიზებულ ნიჭს, ოპერატიული მუშაკის საუკეთესო თვისებებს. — დილის ხუთი საათი იქნებოდა, — იგონებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ნიკოლაიშვილი, — როდესაც შემთხვევის ადგილზე გასულ მილიციის მუშაკებთან ერთად ბესარიონი მძარცველთა ჯგუფს დაედევნა და ისე, როგორც მას ყოველთვის სჩვეოდა ხიფათის წინაშე ერთი წუთითაც არ დაუხევია უკან. ამ ოპერაციის დროს მოხდა ავტომანქანების შეჯახება და იგი საავადმყოფოში აღმოჩნდა... არაერთი მსგავსი ეპიზოდის გახსენება შეიძლება ბ. ბალავაძის სამსახურებრივი მოღვაწეობიდან, რაზედაც მისი ჯილდოებიც მეტყველებენ — ორჯერ ჰქონდა მიღებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელი, დაჯილდოებული იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით, მრავალი მედლით, მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის შს ორგანოების დამსახურებული მუშაკის წოდება.



ბ. ბალავაძის მიერ პატიოსნად, ფიცის ერთგულებით განვლილი ძნელი გზა სამაგალითო იქნება შინაგან საქმეთა ორგანოების ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის. მისი ხსოვნა კი მარად დარჩება ახლობლებისა და კოლეგების გულში.

**ბ. თათეიშვილი.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### АРМИЯ ПРОТИВ БРАКОНЬЕРОВ

**В густой траве танзанийской саванны бесшумно продвигается цепь солдат, вооруженных автоматами. Это не учения народных оборонительных сил Танзании — с недавних пор в республике военнослужащие привлекаются к борьбе с браконьерами. За несколько месяцев им удалось арестовать 800 преступников.**

### ОГРАБИЛИ... ТЮРЬМУ

**Случается, что преступники бегут из тюрьмы. Но на этот раз все было как раз наоборот. В тюрьму Могелкар в Дании забрались воры. Из сейфа начальника они похитили всю месячную зарплату 116 заключенных.**

СПОРТ

## И НАГРАДЫ, И ЦВЕТЫ

**В КАНУН** международного женского праздника на тбилисском крытом теннисном стадионе «Динамо» завершился открытый зимний чемпионат Грузинской ССР среди женщин, в котором кроме грузинских спортсменок приняли участие и гости из Москвы, Еревана и Минска.

Успешно выступила юная динамовка Мака Цицуашвили (тренер Б. Базазашвили), которая, выступая в возрастной группе 1976 года рождения и моложе, в финале встретилась с Нино Луарсабишвили из сборной профсоюзов г. Тбилиси и победила в упорной борьбе. Юная 13-летняя Мака Цицуашвили к имеющимся у нее уже многим титулам победительницы всесоюзных турниров добавила и титул чемпионки зимнего чемпионата Грузии. Вместе с медалью ей вручили и цветы. Так что отличный подарок приподнесла к женскому дню Майя Цицуашвили сама себе. Поздравляем и мы юную динамовку.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00181